საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 60 (604) ოთხშაბათი, 24 მარტი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

აფხაზეთის ამბები

როგორც აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, 22 მარტის დღემ მდინარე გუმისთასთან მშვიდად ჩაიარა, საბრძოლო მოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

21 საათისათვის მოწინააღმდეგემ დაიწყო მძიმე ტექნიკის გადაადგილება ქვემო ეშერის მიდამოებში. ცოტა მოგვიანებით კი ლაბორატორიის სიახლოვეს გამოიყვანა ტანკი და დაიწყო სროლა ჩვენი პოზიციების მიმართულებით. საქართველოს შეიარაღებული ძალები იძულებული გახდნენ გაეხსნათ საპასუხო საარტილერიო ცეცხლი და ჩაეჩუმებინათ მოწინააღმდეგე.

იმ დღესვე, ზღვის სანაპიროსთან, შემჩნეულია იქნა წყალში მოტივტივე აფხაზ მოთარეშეთა გვამები. მათ ეცვათ მაშველი ჟილეტები და როგორც ჩანს წინა დღეებში ჩაძირული კატარღებიდან ამ საშუალებით ცდილობდნენ თავის გადარჩენას.

ღამემ მდინარე გუმისთაზე ძირითადად მშვიდად ჩაიარა, თუმცა ადგილი ჰქონდა უმნიშვნელო ხასიათის პერიოდულ ბრძოლებს ავტომატური იარაღის გამოყენებით.

რაც შეეხება ოჩამჩირის რაიონს, დღეღამის განმავლობაში მნიშვნელოვანი საბრძოლო მოქმედებანი არ მომხდარა. საბრძოლო პოზიციების სხვადასხვა მონაკვეთში ადგილი ჰქონდა მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს.

იოსებ ბობეჩია.

22 მარტს სოხუმში პრესკონფერენცია გამართა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რამაზ სიჭინავამ. მან ჟურნალისტებს აცნობა, რომ 16-17 მარტის ბრძოლების შედეგად საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან დაიღუპა 77 მებრძოლი და დაიჭრა 188. ომის დაწყებიდან დღემდე დაიღუპა 941 და დაიჭრა 3848 ადამიანი. ეს პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის მოეწყო მოსკოვში საქართველოს საელჩოს ინიციატივით. პრესკონფერენციაზე ინფორმაცია გააკეთა აფხაზეთის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა იური კეშელავამ, რომელმაც ჟურნალისტებს დამატებითი ცნობები მიაწოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ჩამოგდებული სუ-27 ტიპის რუსული სამხედრო თვითმფრინავის შესახებ. აღინიშნა, რომ თვითმფრინავი ბრუნდებოდა საბრძოლო მოქმედებებიდან. მას ექვსი რაკეტიდან სამი უკვე ნატყორცნი ჰქონდა. დარჩენილი იყო „ზაერი-ზაერი"-ს ტიპის ორი რაკეტა და „ზაერი-მიწა"-ს ტიპის ერთი რაკეტა.

იბერია.

ააფეთქეს რკინიგზის ხიდი

არ ცხრება დივერსიები მარნეულის რაიონში. ამჟამად დივერსანტებმა სოფელ იმირთან, მდინარე ალგეთზე ააფეთქეს უძველესი და ულამაზესი ხიდი, რომელიც საქართველოს სომხეთთან აკავშირებდა. როგორც სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებმა გვაცნობეს, ხიდის აღდგენას ერთი თვე დასჭირდება. ამჟამად მეზობელ სომხეთის რესპუბლიკასთან მოძრაობა შეწყვეტილია. **საქ. კორ.**

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

საქართველო დღეს იმ ქვეყნებთანაა, რომლებსაც ნათლად გამოკვეთილი პოზიცია აქვთ რუსეთის მოვლენებთან დაკავშირებით



[illegible]

გუშინ პარლამენტის სხდომაზე

[illegible]



[illegible]

...28 მარტს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სესია დღის მეორე ნახევარშიც მუშაობდა.

სურათებზე: ტრიბუნაზეა — პარლამენტის თავმჯდომარე — საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე; სხდომათა დარბაზში.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ვალერიან ადვაძის რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს დანიშნოს ვალერიან ადვაძე რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 23 მარტი.

ჭამა ქონებაზე ჰკიდია, ქონება — მუხლჩაუხრელ შრომაზე

დაისახა კონკრეტული ღონისძიებები

ლაგოდეხის რაიონის გამგეობამ 24 და 25 თებერვალს რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირზე განიხილა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარების შესახებ. სოფლის მეურნეობის სამმართველოს პასუხისმგებელ მუშაკებს მიეცათ კონკრეტული დავალებები რაიონის სოფლის მეურნეობის ორგანიზაციული მართვის სრულყოფის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცალკეულ დარგებში არსებული მდგომარეობის სტაბილიზაციის და მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვისათვის ერთი კვირის ვადაში მოამზადონ წინადადებები კომპლექსური სამეურნეო-ორგანიზაციული ღონისძიებების გასატარებლად.

რაიონის საკრებულოთა გამგეობებს, მიწის რეფორმის ადგილობრივ კომისიებს, საზოგადოებრივი მეურნეობებისა და აგროფირმების ხელმძღვანელ ორგანოებს დაევალათ დაასრულონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმა და მიმდინარე წლის 10 მარტამდე დაამთავრონ მოსახლეობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების გაცემა, რაც საშუალებას შექმნის საბოლოოდ დაზუსტდეს საზოგადოებრივ სექტორში დარჩენილი მიწის ფართობები. აქედან გამომდინარე, განისაზღვრება საზოგადოებრივი მეურნეობების პოტენციური შესაძლებლობები და შემუშავდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის წარმოებისა და სახელმწიფო მიწოდების ერთიანი პროგრამა. უნდა გატარდეს კონკრეტული ღონისძიებები ავტოსატრაქტორო პარკის მოწესრიგების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დროული შეკეთებისა და საწვავ-საცხები მასალების სათადარიგო მარაგის შესაქმნელად. სოფლის მეურნეობის სამმართველო (ა. ბახტაძე) ერთი კვირის ვადაში შეისწავლის არსებულ მდგომარეობას და შესაბამის რესპუბლიკურ ორგანოებში დააყენებს საკითხს განაცხადის მიხედვით რაიონისათვის სათესლე მასალის, მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებების მიწოდების, სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენის შესახებ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საგაზაფხულო სამუშაოების დროულად ჩასატარებლად საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის შეღავათიანი კრედიტების გამოყოფის თაობაზე.

ნუგზარ კაკიაშვილი,
ლაგოდეხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე.

ნომერში

- როდესაც მოწოდებით ვერაფერს გახდნენ... — 3
- მრავალშვილიანთა ქომაგებს თანადგომა სჭირდებათ. — 4

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. 1960 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1, მუხ. 10) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

I. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 238^1 მუხლი: „მუხლი 238^1. უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზაცია ან მასში მონაწილეობა.

უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზაცია, აგრეთვე ასეთ ფორმირებაში მონაწილეობა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე".

2. 8^1 მუხლში (მძიმე დანაშაულის ცნება) სიტყვების „(238-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)" შემდეგ დაემატოს სიტყვები უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზაცია ან მასში მონაწილეობა (238^1)".

3. 44-ე მუხლის (განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი) პირველი ნაწილის მეორე პუნქტში სიტყვების" (238-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)" შემდეგ დაემატოს სიტყვები „უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზაცია ან მასში მონაწილეობა (238^1)".

4. 54^1 მუხლს (სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის გამოუყენებლობა) პირველი ნაწილის მესამე პუნქტში სიტყვების „(238-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)" შემდეგ დაემატოს სიტყვები „უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზაცია ან მასში მონაწილეობა (238^1)".

II. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 17 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. 1960 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1, მუხ. 10) დაემატოს შემდეგი შინაარსის 66^1 მუხლი.

„მუხლი 66^1. დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებებში.

დაქირავებული პირის მონაწილეობა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მატერიალური გასამრჯელოს, რაიმე გამორჩენის მიღების მიზნით, ან ასეთი მონაწილეობა სხვა ქვენაგრძნობით, თუ ეს პირი არ არის ამ ქვეყნის მოქალაქე ან არ ცხოვრობს მის ტერიტორიაზე მუდმივად და არა აქვს უფლებამოსილება ოფიციალური მოვალეობების შესასრულებლად იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც არ მონაწილეობს შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

იგივე მოქმედება, თუ მას მოჰყვა განსაკუთრებით დიდი ზარალი ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, თუ მას მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ან — სიკვდილით".

2. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 17 მარტი.

შეხვედრები ელჩებთან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო აშშ სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში ბატონი კენტ ბრაუნი.

საუბარი შეეხო აფხაზეთში მიმდინარე ომს, ბოლო დღეებში მომხდარ ფაქტებს. ბატონმა ბრაუნმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონში ძალზე შეშფოთებულნი არიან სიტუაციის გამწვავებით, ინტერესით ადევნებენ თვალს მოვლენებს და ითხოვენ დაწვრილებით ცნობებს მომხდარის შესახებ.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღმაშფოთებელი უწოდა რუსეთის მხარის წრესგადასულ ქმედობას, რომელიც უხეში ჩარევაა ჩვენს შინაურ საქმეში. საბედნიეროდ, თქვა მან, წინასწარ დაგეგმილი აქცია — სოხუმში გაგრის ტრაგედია განმეორებულიყო — ჩაიშალა ქართველ მეომართა თავდადების წყალობით. მაგრამ შეშფოთებას იწვევს რუსეთში მდგომარეობის უკიდურესი გამწვავება, რასაც შეიძლება ახალი გართულებები მოჰყვეს კონფლიქტის ზონაში. რუსეთის ჩარევა რომ არა, ქართველები და აფხაზები აქამდეც იპოვიდნენ საერთო ენას.

ბატონმა კენტ ბრაუნმა მადლობა გადაიხადა მიღებისათვის და აღნიშნა, რომ ამ ცნობებს დღესვე გადასცემს ვაშინგტონს.

• • •

20 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში სერ ბრაიან ფოლი, რომელიც უშუალოდ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თხოვნით იმყოფება თბილისში, რათა ადგილზე გაეცნოს საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში შექმნილ ვითარებას.

საუბრის დაწყებამდე ელჩმა სახელმწიფოს მეთაურს გადასცა ინგლისის პრემიერის ჯონ მეიჯორის წერილი, რომელშიც გამოთქმულია სრული მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლებისადმი, მზადყოფნა დახმარების ხელი გამოუწოდოს ჩვენს ქვეყანას ამ უდიდესი გაჭირვების ჟამს.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სტუმარს გააცნო ბოლო დღეებში მომხდარი ფაქტები, კატეგორიულად დაგმო რუსეთის მხარის ქმედება, აღმაშფოთებელი უწოდა გენერალ გრაჩოვის განცხადებებსა და მოქმედებას. სახელმწიფოს მეთაურმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ყველაფერი რუსეთის პრეზიდენტის ნების საწინააღმდეგოდ ხდება, რომ იგი ვერ აკონტროლებს სამხედროებს. ამიტომ მიუხედავად ბოლო ხანს მომხდარი აღმაშფოთებელი მოვლენებისა, საქართველო მაინც მზადაა განაგრძოს დიალოგი რუსეთის ხელმძღვანელობასთან.

[illegible]

პროექტი

რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის ხელშეკრულება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით მყოფ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სამართლებრივი სტატუსის შესახებ

რუსეთის ფედერაცია და საქართველოს რესპუბლიკა, რომლებიც

ითვალისწინებენ ახალ პოლიტიკურ რეალობას ევროპასა და მთელ მსოფლიოში, რუსეთის ფედერაციის და საქართველოს რესპუბლიკის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას,

ხელმძღვანელობენ მისწრაფებით საფუძველი ჩაუყარონ თვისებრივად ახალ მეგობრულ ურთიერთობებს და განავითარონ თანასწორუფლებიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე,

ითვალისწინებენ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის ..... ხელშეკრულებას მეგობრობის და თანამშრომლობის შესახებ,

სურთ შექმნან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა დროებითი ყოფნის სამართლებრივი საფუძველი,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ქვემოთ აღნიშნულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. „რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებები“ — გაერთიანებები, შენაერთები და ნაწილები, ჯარის სახეობათა და გვარეობათა მიუხედავად, აგრეთვე სამხედრო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთის ფედერაციის იურისდიქციას ექვემდებარებიან.

2. „რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სარდლობა“ — ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლობა ჯგუფის სარდლის სახით, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის საკითხებში ემორჩილება რუსეთის ფედერაციის იურისდიქციას დაქვემდებარებული ყველა სამხედრო ფორმირება, მათ შორის ცენტრალური დაქვემდებარების სამხედრო ფორმირებები.

3. „რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა შემადგენლობაში შემავალი პირები“:

ა) სამხედრო მოსამსახურენი, რომლებიც სამხედრო სამსახურს გადიან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა შემადგენლობაში, გარდა სასაზღვრო ჯარებისა, აგრეთვე ამ ფორმირებათა შემვსები პირები;

ბ) სამოქალაქო პირები, რომლებიც მუშაობენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა ნაწილებში, სამხედრო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა გარდა;

გ) რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებში დროებით მივლინებული ცალკეული პირები.

4. „რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა შემადგენლობაში შემავალ პირთა „ოჯახის წევრები“ — მეუღლეები, შვილები, აგრეთვე მათთან მუდმივად მცხოვრები და მათ კმაყოფაზე მყოფი სხვა ნათესავები, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა გარდა.

5. „დისლოკაციის ადგილი“ — მკვეთრად განსაზღვრული შეთანხმებული საზღვრებით გამოყოფილი საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი, სადაც დროებით განლაგებული არიან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებანი, და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი უძრავი ქონება.

6. „მოძრავი ქონება“ — ყოველგვარი იარაღი, სამხედრო ტექნიკა და საბრძოლო მასალა, აგრეთვე სატრანსპორტო და ყველა სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რომლებიც საჭიროა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა უზრუნველსაყოფად.

7. „უძრავი ქონება“ — რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა მიერ დროებით დაკავებული მიწის ნაკვეთები, იქ განლაგებული საყაზარმო-საცხოვრებელი ფონდი და დასახლებათა კომუნალური ნაგებობანი, სამხედრო საწარმოები, მისასვლელი რკინიგზის ხაზები, აეროდრომები, ნავსადგურები, სასწავლო ცენტრები და მინდვრები, პოლიგონები, სასროლეთები, სტაციონარული სამეთაურო პუნქტები, მართვის პუნქტები, კავშირგაბმულობის კვანძები და რადიოტექნიკური და სანავიგაციო უზრუნველყოფის საშუალებები, არსენალების შენობები და ნაგებობანი, შესანახი ბაზები, საწყობები და სხვა შენობა-ნაგებობანი, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაა და დროებით სარგებლობენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებანი თავიანთი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

8. „გარდამავალი პერიოდი“ — საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა ყოფნის დრო.

მუხლი 2

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა გეგმაზომიერი გაყვანა რეგულირდება ცალკე შეთანხმებით. ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს ეხმარებიან და გამიზნულად თანამშრომლობენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა დროებითი ყოფნისა და გეგმაზომიერი გაყვანის საკითხებში. რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფალნი ყოველნაირად უწყობენ ხელს საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და რუსეთის სამხედრო ფორმირებათა კეთილგანწყობილ ურთიერთობას, უზრუნველყოფენ ამ ხელშეკრულების მოწესრიგებულ, საიმედო და დროულ შესრულებას.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებები, მათ შემადგენლობაში შემავალი პირები და მათი ოჯახის წევრები პატივს სცემენ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს და ასრულებენ მის კანონმდებლობას, არ ერევიან მის შინაურ საქმეებში, არ მონაწილეობენ შეიარაღებულ კონფლიქტებში, თავიანთი დისლოკაციის ადგილებში არ დაუშვებენ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა მიერ სამხედრო სამსახურის და სპეციალური სამხედრო მომზადების გავლას. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფალნი პატივს სცემენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა, მათ შემადგენლობაში შემავალ პირთა და მათი ოჯახის წევრების სამართლებრივ მდგომარეობას, არ აბრკოლებენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა ნაწილებისა და ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის საწვრთნელ-საბრძოლო მომზადებას. ისინი ახორციელებენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებთან შეთანხმებულ საჭირო ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ უშიშროებასა და დაცვას, ქონების ხელშეუხებლობას, მათ შორის ყოველგვარი სამართალდამრღვევი მოქმედების თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებებს.

მუხლი 3

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა პირადი შემადგენლობის საერთო რაოდენობას შეათანხმებენ ხელშემკვრელი მხარეები. ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის დაკავებული მათი დისლოკაციის ადგილები ამ ფორმირებებს რჩებათ, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მათ გაყვანამდე ან დაშლამდე, თუ ხელშემკვრელი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა გადაადგილება, მე-7 მუხლში მითითებულ შემთხვევათა გარდა, და რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა შეცვლა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან წინასწარ შეთანხმებული გეგმით.

მუხლი 4

რუსეთის მხარე ვალდებულებას კისრულობს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ იქონიოს და არ გაატაროს მასობრივი მოსპობის იარაღი, არ ჩაატაროს გამოკვლევები ამ სფეროში.

მუხლი 5

გარდამავალ პერიოდში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებები ხელს უწყობენ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნას, ეხმარებიან ვადიანი სამსახურის პირადი შემადგენლობის მეთაურთა და ტექნიკური კადრების მომზადებაში. დაფინანსებისა და მატერიალური მომარაგების წესი განისაზღვრება ცალკე შეთანხმებით.

თითოეული ხელშემკვრელი მხარე ფუნქციების შესრულების საჭირო პირობებს უქმნის რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებს.

მუხლი 6

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებები დროებით რჩებიან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ასრულებენ რუსეთის ფედერაციის მთავრობისა და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალთა სარდლობის მიერ დასახულ ამოცანებს, რომელთა და ამ ხელშეკრულების სხვა დებულებათა პრაქტიკული განხორციელებისას რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სარდლობა მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან მჭიდრო თანამოქმედებით და შეთანხმებით. რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა საბრძოლო მოქმედებაში გამოყენება დაშვებულია მხოლოდ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლისა და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ერთობლივი გადაწყვეტილებით და თითოეული ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებანი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მანევრებს, წვრთნასა და საგეგმო მომზადების სხვა ღონისძიებებს ატარებენ მათთვის გამოყოფილი ობიექტების ფარგლებში, რომლებიც მითითებულია პირველი მუხლის მე-7 პუნქტში. ამ ობიექტებს გარეთ საბრძოლო მომზადება დაშვებულია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებთან შეთანხმებული გეგმების საფუძველზე. დისლოკაციის ადგილებიდან პოლიგონებზე, სასწავლო მინდვრებსა და სასროლეთებზე, აგრეთვე ერთი პოლიგონიდან, სასწავლო მინდვრიდან და სასროლეთიდან მეორეზე სწავლებისა და წვრთნის დროს მუხლუხებიანი საბრძოლო ტექნიკის გადაადგილებისას გამოიყენება რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სარდლობისა და საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოთა შორის შეთანხმებული მარშრუტები. მათი გამოყენების წესი წვრთნის დაწყებამდე 2-3 კვირით ადრე უნდა შეთანხმდეს.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა წვრთნა, თუ მასში მონაწილეობს პოლკი და უფრო დიდი შენაერთი, წინასწარ უნდა ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს არა უგვიანეს ერთი თვისა მათ დაწყებამდე. ამასთან ერთად ჯარები საბრძოლო მზადყოფნის შესამოწმებლად ზემოაღნიშნულ ობიექტებს ფარგლებს გარეთ არ უნდა გამოიყვანონ წინასწარ შეთანხმებულ ვადაზე ადრე.

წვრთნის პრინციპები და კონკრეტული წესი, მაგალითად, მონაწილეთა რაოდენობა, რაიონები, მარშრუტები და მათი ჩატარების ვადა, საბრძოლო სროლის ეტაპების დრო და უსაფრთხოების ზომები, ეკოლოგიური და სხვა საკითხები ცალკე უნდა შეთანხმდეს, თუ მათ არ შეიცავს ამ ხელშეკრულების სხვა მუხლების დებულებანი.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებანი წვრთნის დროს ყველაფერს ღონობენ იმისათვის, რამდენადაც შესაძლებელია თავიდან აიცილონ წვრთნით გამოწვეული ზიანი.

წვრთნის მიმდინარეობისას, საბრძოლო სროლით წვრთნის გარდა, უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად საბრძოლო ტექნიკა და იარაღების სისტემები საბრძოლო მასალით არ აღიჭურვება. საბრძოლო სროლით მიმდინარე წვრთნისათვის საჭირო საბრძოლო მასალები გადაიზიდება ცალკე ტრანსპორტით. სროლისა და საბრძოლო სროლით წვრთნისას სასროლეთის გარშემო და მის თავზე საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად იქმნება უსაფრთხოების სათანადო ზონები.

საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამხედრო ობიექტების დაცვისათვის თავიანთი დისლოკაციის ადგილებში, აგრეთვე გადაადგილებისას რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებს უფლება აქვთ განახორციელონ ღონისძიებანი მათ შეიარაღებულ ძალებში მიღებული წესის თანახმად, რაც ეცნობება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს.

მუხლი 8

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებს აკრძალული ზონების ან უსაფრთხოების ზონების დაწესება, მე-7 მუხლში მითითებულ შემთხვევათა გარდა, შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან შეთანხმებით.

მუხლი 9

საქართველოს რესპუბლიკა არ აბრკოლებს თავის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა საფრენი აპარატების (თვითმფრინავები, ვერტმფრენები) ფრენას წინასწარ შეთანხმებული განაცხადით, გარდა აკრძალული ზონებისა, რომლებსაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საჰაერო მიმოსვლის მართვა, მის კომპეტენტურ ორგანოებს ევალებათ.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა ავიაციის ფრენის ორგანიზაციის წესი და განხორციელება, მათ მიერ საჰაერო სივრცის, აეროდრომებისა და პოლიგონების გამოყენება განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფრენის ინსტრუქციით.

მუხლი 10

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით ბაზირებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ხომალდები (გემები) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ და შიდა წყლებში საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებისა და ყოველდღიური ცხოველმოქმედების უზრუნველყოფის საგეგმო ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, დაუბრკოლებლად დაცურავენ საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დანარჩენი ხომალდები (გემები) შიდა წყლებში და ნავსადგურებში შედიან საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებთან წინასწარ შეთანხმებული განაცხადის საფუძველზე.

მუხლი 11

ხელშემკვრელი მხარეები თანამშრომლობენ ნაოსნობისა და საჰაერო აპარატების ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. ასეთი თანამშრომლობის წესი და ფორმები განისაზღვრება მხარეთა სპეციალური შეთანხმებით.

მუხლი 12

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა რადიოელექტრონული ობიექტები, რომლებიც დროებით განლაგებულია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ექვემდებარებიან რეგისტრაციასა და ყოველწლიურ ხელახალ რეგისტრაციას მოცემული ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან.

რეგისტრაციას აღრიცხავს ორივე მხარე.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებები ყოველწლიურად აცნობენ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს თავიანთი რადიოელექტრონული ობიექტების ნუსხას, დანიშნულებასა და დისლოკაციას.

საქართველოს რესპუბლიკა უფლებას უტოვებს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებს, რომ მათი ჯარების მოქმედმა სამსახურებმა გამოიყენონ რადიოსიხშირეები მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის არსებული წესის თანახმად.

რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ფორმირებათა თანამოქმედებისათვის წესდება მორიგეობა შიგასაგარნიზონო რადიოქსელში.

ერთმანეთისათვის რადიოდაბრკოლებების შექმნის თავიდან აცილების მიზნით რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ფორმირებანი რადიოსიხშირეების ერთობლივ გამოყენებას შეთანხმებულად არეგულირებს ექსპერტთა მუდმივმოქმედი ერთობლივი ჯგუფი.

ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე ინფორმაციის გაცვლის წესს ცალკე შეთანხმება არეგულირებს.

მუხლი 13

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებს, მათ შემადგენლობაში შემავალ პირებსა და მათი ოჯახის წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ ფოსტისა და კავშირგაბმულობის მომსახურებით, საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი წესის თანახმად.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებისათვის ფოსტის მისატან საექსპლუატაციო მოწყობილობას საქართველოს რესპუბლიკა განიხილავს, როგორც რუსეთის ფედერაციის საფოსტო ადმინისტრაციის საფოსტო მოწყობილობას.

საფოსტო მომსახურებით, კავშირგაბმულობით და რადიოსიხშირეებით სარგებლობის წესი განისაზღვრება ცალკე შეთანხმებით.

მუხლი 14

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებები თავიანთი მოქმედებისას უზრუნველყოფენ კულტურული და ისტორიული ობიექტების, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გარემოს გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ღონისძიებებს.

ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და მისი ძალაში შესვლის შემდეგ, ხელშემკვრელი მხარეები 32-ე მუხლის თანახმად შექმნილი შერეული კომისიის ფარგლებში განსაზღვრავენ ზარალს, რომელიც მიადგა საქართველოს რესპუბლიკის კულტურულ და ისტორიულ ობიექტებს, ბუნებრივ რესურსებს და გარემოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედების შედეგად. 26-ე მუხლის თანახმად ზარალის ანაზღაურება ეკისრება რუსეთის ფედერაციას.

მუხლი 15

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებზე, მათ შემადგენლობაში შემავალ პირებზე და მათი ოჯახის წევრებზე ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა ადამიანისა და ცხოველთა გადამდებ დაავადებათა თავიდან აცილებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მათთვის გამოყოფილი უძრავი ქონების ობიექტების ფარგლებში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებს შეუძლიათ ისარგებლონ თავიანთი საკუთარი წესებით, თუ ის არ უქმნის საფრთხეს მოსახლეობის ჯანმრთელობას.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებები და საქართველოს ხელისუფალნი დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს, თუ გაჩნდა განსაკუთრებით საშიში ინფექციათა ეჭვი, გამოვლინდა მათი კერები, როგორ მიმდინარეობს და ლიკვიდირებულია თუ არა, აგრეთვე რა ღონისძიებები ხორციელდება ამასთან დაკავშირებით.

ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელი სპეციალური ღონისძიებების ჩატარებისას რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებები მათთვის გამოყოფილი უძრავი ქონების ობიექტების რაიონში თანამშრომლობენ საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებთან. რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებები დამოუკიდებლად იღებენ საანალიზო სინჯებს და ამოწმებენ მათ მიერ შემოზიდულ სურსათს, მედიკამენტებსა და სხვა საქონელს. ამასთანავე იძლევიან გარანტიას, რომ შემოზიდული საქონელი ზიანს არ მიაყენებს მოსახლეობის ჯანმრთელობას.

მუხლი 16

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სამხედრო მოსამსახურეები ატარებენ მათთვის დადგენილ ტანსაცმლის ფორმას, აქვთ და ატარებენ იარაღს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებში მიღებული წესის თანახმად.

დისლოკაციის ადგილს გარეთ პირადი იარაღის ტარება დასაშვებია მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების, მათი უძრავი ქონების, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის, ფულადი და მატერიალური სახსრების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახურებრივი ამოცანების შესრულების მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები ცნობენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მოქმედ დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრთა პიროვნებას.

მუხლი 17

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებს, მათ შემადგენლობაში შემავალ პირებს და მათი ოჯახის წევრებს ამ ხელშეკრულების ფარგლებში შეუძლიათ თავისუფლად იმოგზაურონ თავიანთი სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საერთო სარგებლობის გზებით, თუ დაიცავენ საქართველოს რესპუბლიკის კანონებს და გაითვალისწინებენ სამსახურებრივ შინაგანაწესს. რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უფლება აქვთ ისარგებლონ საერთო სარგებლობის ტრანსპორტით (ხმელეთზე, რკინიგზის ჩათვლით, ჰაერში და წყალზე) და სატრანსპორტო მოწყობილობით იმავე პირობებით, როგორითაც სარგებლობენ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები.

საქართველოს ხელისუფლება რაიმე გამოცდისა და გადასახადის გარეშე ცნობს მანქანის მართვის უფლებას, რომელიც მოქმედებს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სამსახურებრივ სატრანსპორტო საშუალებებს უნდა ჰქონდეს ადვილად გამოსარჩევი სანომრე ნიშნები და სახელმწიფო კუთვნილების ამოსაცნობი ნიშანი. რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა ორგანოები სამსახურებრივ სატრანსპორტო საშუალებებისათვის გასცემენ სანომრე ნიშნებს და საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს აცნობებენ მათი რეგისტრაციის შესახებ.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა ორგანოები კონტროლს უწევენ მათ მიერ საექსპლოატაციოდ დაშვებული სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ მდგომარეობას, მუშაუნარიანობას, მოწყობილობათა ჩათვლით, და პასუხს აგებენ ამისთვის. კერძო სატრანსპორტო საშუალებები ტექნიკური დათვალიერებისათვის უნდა წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა შესაბამის ორგანოებს, სამსახურებრივი სატრანსპორტო საშუალებები კი ტექნიკურ შემოწმებას გადიან თავიანთი დისლოკაციის ადგილებში და, თუ საჭიროა, შეიძლება გაიარონ დამატებითი ერთობლივი ტექნიკური შემოწმება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა კომპეტენტურ ორგანოებში, რომელთაც უფლება აქვთ შეამოწმონ მძღოლის მოწმობა, ტექნიკური დოკუმენტაცია და მძღოლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებები ასრულებენ საქართველოში მოქმედ საგზაო მოძრაობის წესებს, მათ შორის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ადგილზე მოქცევის წესებს, აგრეთვე საშიში ტვირთის გადაზიდვის წესებს. ამ წესების დაცვას კონტროლს უწევენ საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტური ხელისუფალნი და რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა ორგანოები. საქართველოს სამართლებრივი ნორმები მძღოლისთვის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ჩამორთმევის შესახებ შეუზღუდავად მოქმედებს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა შემადგენლობაში შემავალ პირთა და მათი ოჯახის წევრების მიმართ, რომლებიც მართავენ სამსახურებრივ და კერძო სატრანსპორტო საშუალებებს. მართვის მოწმობის ჩამორთმევა შეუძლია რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სამხედრო ავტოინსპექციას, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების განაცხადით.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა ოცი და მეტი სატრანსპორტო საშუალების, აგრეთვე ნებისმიერი რაოდენობის მძიმე და დიდტვირთიანობის სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებისას საერთო სარგებლობის საგზაო ქსელის გამოყოფისა და მისი რეგულარული გამოყენების წესის შესახებ შეთანხმებანი შეიძლება დაიდოს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებთან. ასეთი გადაადგილებანი დროულად უნდა შეუთანხმდეს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო-სატრანსპორტო სამსახურს.

დიდი ტვირთამწეობისა და მძიმე ტექნიკისა, მუხლუხებიანი მანქანების ჩათვლით, შეძლებისდაგვარად, რკინიგზის ტრანსპორტით გადაადგილდება, თუ მოცემულ რაიონში სარკინიგზო მიმოსვლა არ არის, ან მანძილი უმნიშვნელოა, მუხლუხიანი მანქანები შეიძლება გადაიზიდოს ტრაილერებით ან საკუთარი სვლით, ოღონდ აუცილებლად შეთანხმებული მარშრუტით.

მუხლი 18

საქართველოს რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებს უნარჩუნებს უფლებას უსასყიდლოდ გამოიყენონ უძრავი ქონების ობიექტები, აგრეთვე ისარგებლონ ელექტროენერგიით, კომუნალური, სამშენებლო და სხვა მომსახურებით — საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მიმართ. უძრავი ქონების ობიექტები, რომლებითაც რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებები არ სარგებლობენ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის და თავისუფლდება მათი გაყვანის ან შემცირების შედეგად, გადაეცემა ქართულ მხარეს.

სამხედრო საწარმოები, მისასვლელი სარკინიგზო ხაზები, აეროდრომები, ნავსადგურები, სასწავლო ცენტრები და მინდვრები, პოლიგონები, სასროლეთები, საჰაერო თავდაცვის ჯარების სტაციონარული სამეთაურო პუნქტები, განკუთვნილი რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა ერთობლივი სარგებლობისათვის, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებანი და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ამ ობიექტებით, აგრეთვე ყოველგვარი მომსახურებით, ერთობლივად სარგებლობენ იმ წესისა და პირობების შესაბამისად, რომლებიც განისაზღვრება ხელშემკვრელ მხარეებს ცალკე შეთანხმებით.

მუხლი 19

რუსეთის ფედერაცია საქართველოს რესპუბლიკას გადასცემს იარაღს, სამხედრო ტექნიკას და რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სხვა მოძრავ ქონებას, რომელიც საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების, მათ შორის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესაქმნელად. ამ მიზნით მხარეები ცალკე შეთანხმებით განსაზღვრავენ მოძრავი ქონების გაყოფის წესს.

რუსეთის მხარე გარდამავალი პერიოდისათვის კისრულობს ვალდებულებას გაუფრთხილდეს უძრავ ქონებას, რომელსაც რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებანი იყენებენ.

ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი თვის ვადაში რუსული მხარე ქართულ მხარეს გადასცემს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა განკარგულებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების დოკუმენტებს.

მუხლი 20

ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა შემადგენლობაში მყოფი პირებისა და მათი ოჯახის წევრების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების მთელი სისრულით დაცვას საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესაბამისად.

მუხლი 21

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებს, მათ შემადგენლობაში მყოფ პირებს და მათი ოჯახის წევრებს, აგრეთვე თადარიგში დათხოვნილ ან გადამდგარ პირებს იმავე პირობებით, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, უფლება აქვთ საფასურის გადახდით შეიძინონ თავიანთი მომარაგებისა და პირადი მოხმარებისათვის საჭირო საქონელი და ისარგებლონ მათთვის საჭირო მომსახურებით საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის ფარგლებში.

მუხლი 22

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებში შემავალ პირებს და მათი ოჯახის წევრებს, აგრეთვე გადამდგარ, თადარიგში ან პენსიაზე გასულ პირებს უნარჩუნდებათ უფლება საქართველოს რესპუბლიკაში ფლობდნენ და განკარგავდნენ კანონიერად შეძენილ საცხოვრებელ სახლს, აგარაკს, საბაღე ნაკვეთს, გარაჟს, და სხვა ამგვარ უძრავ ქონებას, იმ უფლების ჩათვლით, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან მუდმივ საცხოვრებლად სხვაგან წასვლისას პირადი შეხედულებისამებრ განკარგონ ყოველივე ეს. ამ პირთა მიერ კანონიერი წესით პრივატიზებული ბინების გაყიდვის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ორგანოებს უპირატესი უფლება აქვთ შეიძინონ ბინები მოქმედ საბაზრო ფასად.

მუხლი 23

ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა შემადგენლობაში შემავალ პირთა და მათი ოჯახის წევრების ცხოვრებას იმ საცხოვრებელ ფართობზე, რომელიც მათ უკავიათ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში.

სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან საცხოვრებელი ფართობით, აგრეთვე შემდგომი სამხედრო სამსახურისათვის ჩამოსულები საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილდებიან წამსვლელთა მიერ გამოთავისუფლებული ფართობის ხარჯზე მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა მიერ საქართველოს რესპუბლიკისაგან იჯარით აღებული საცხოვრებელი ფართობით.

საქართველოს მხარე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სარდლობას იჯარით გადასცემს საცხოვრებელ ფართობს, ამასთან უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრების კომპაქტურ დაბინავებას.

საქართველოს მხარე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებს მათი საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის მთელი ვადით უნარჩუნებს უფლებას საცხოვრებელ ფართობზე სახლებში მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, რომელიც მათ უკავიათ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღის სამხედრო ფორმირებათა დადგენილი რაოდენობის თანახმად და საქართველოს რესპუბლიკის საბინაო კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკა უზრუნველყოფს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა შემადგენლობაში მყოფ პირ-ებს და მათი ოჯახის წევრებს შესაბამისი [illegible] [illegible]ობის მოწმობა).

მუხლი 24

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა შემადგენლობაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარს კვეთენ მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით (სამხედრო ბილეთით) ან საზღვარგარეთის პასპორტით, ხოლო არასრულწლოვანი ბავშვები — ამ დოკუმენტებში გაკეთებული ჩანაწერებით. რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა, მათ შემადგენლობაში მყოფ პირთა და მათი ოჯახის წევრთა გამგზავრების წესი, რომლებიც მიდიან ცალ-ცალკე ან სამხედრო ნაწილების, ქვედანაყოფებისა და რაზმის შემადგენლობაში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე სამხედრო ტვირთის გადაზიდვის წესი ცალკე შეთანხმებით განისაზღვრება საქართველოს სასაზღვრო რეჟიმის დადგენის შემდეგ.

საქართველოს რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა შემადგენლობაში მყოფ პირებსა და მათი ოჯახის წევრებს უფლებას აძლევს გადაკვეთონ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი, გადაიტანონ თავიანთი პირადი ნივთები უბაჟოდ, უგადასახადოდ და უგადასახდელოდ საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 25

იურისდიქციის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა ყოფნასთან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რეგულირდება შემდეგნაირად:

1. რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა შემადგენლობაში შემავალი პირების ან მათი ოჯახის წევრების მიერ დისლოკაციის ადგილის ფარგლებს გარეთ ჩადენილი დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა გარჩევისას, როგორც წესი, გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა, მოქმედებენ მისი სასამართლო, პროკურატურა და სხვა კომპეტენტური ორგანოები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენება რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირების შემადგენლობაში შემავალ პირთა და მათი ოჯახის წევრთა მიერ ჩადენილი დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა გარჩევისას:

ა) თუ იგი ჩადენილია დისლოკაციის ადგილას ან სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს;

ბ) თუ იგი ჩადენილია რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა შემადგენლობაში შემავალ პირთა წინააღმდეგ, აგრეთვე სამხედრო დანაშაულის საქმეთა გარჩევისას.

„ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული დანაშაულის საქმეთა გარჩევისას გამოიყენება რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა, მოქმედებენ მისი პროკურატურა, სასამართლო და სხვა კომპეტენტური ორგანოები.

3. საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოები უზრუნველყოფენ რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების სასამართლო გადაწყვეტილებით და დადგენილებით დატუსაღებულ პირთა პატიმრობას და ბადრაგით გაცილებას.

თავისუფლების აღკვეთის, შრომაში სავალდებულო ჩაბმის, დისციპლინარულ ბატალიონში გაგზავნის განაჩენის აღსრულება, იმ პირთა მიმართ, რომლებიც აღნიშნული არიან ამ მუხლის მე-2 პუნქტში, ხდება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ხოლო პირველ პუნქტში აღნიშნული პირების მიმართ — საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებით.

4. რუსეთის ფედერაციის და საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ ერთმანეთს სთხოვონ ამ მუხლით გათვალისწინებული ცალკეული საქმეების (პირების) იურისდიქციაში გადაცემა ან გამოტანილი განაჩენის აღსრულება. ასეთ თხოვნას კეთილმოსურნედ განიხილავენ.

5. ერთმანეთის სამართლებრივი დახმარების საკითხები ცალკე შეთანხმებით დარეგლამენტდება.

მუხლი 26

რუსეთის ფედერაცია ანაზღაურებს მატერიალურ ზარალს, თუ იგი გამოწვეულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებისა ან მის შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების მოქმედებით ან დაუდევრობით იმ დროს, როცა ისინი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ საქართველოს რესპუბლიკაში, ან ეს ზარალი მიაყენეს მესამე სახელმწიფოთა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ დაწესებულებებს თუ მოქალაქეებს, ორივე შემთხვევაში იმ ოდენობით, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად დადგინდება წამოყენებული პრეტენზიების საფუძველზე.

ზარალის ანაზღაურების საკითხებზე დავა უნდა განიხილოს შერეულმა კომისიამ, რომელიც ამ ხელშეკრულების 31-ე მუხლის შესაბამისად იქმნება.

რუსეთის ფედერაციამ ზარალი უნდა აანაზღაუროს შერეული კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ან სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

შერეული კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, დაზარალებულ პირებსა და დაწესებულებებს თანხას გადაუხდიან საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები, რასაც შემდგომში რუსეთის მხარე აანაზღაურებს.

მუხლი 27

საქართველოს რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციას შერეული კომისიისგან დადგენილი ოდენობით აუნაზღაურებს ზარალს, თუ იგი რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებებს, აგრეთვე მათ შემადგენლობაში შემავალ პირებს და მათი ოჯახის წევრებს მიადგათ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა მოქმედების ან დაუდევრობის შედეგად.

საქართველოს რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციას, მის სამხედრო ფორმირებებში შემავალ პირებს და მათი ოჯახის წევრებს აუნაზღაურებს ზარალს, თუ იგი გამოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისა და იურიდიული პირების (სახელმწიფო დაწესებულებათა გარდა) მოქმედების ან დაუდევრობის შედეგად ისეთი ოდენობით, როგორსაც საქართველოს სასამართლო დაადგენს ზარალის გამომწვევი პირებისათვის წარდგენილი პრეტენზიების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკა ზარალს აანაზღაურებს შერეული კომისიის გადაწყვეტილების მიღების ან სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

მუხლი 28

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სარდლობასა და იმ დაქირავებულ მომუშავეთა შორის შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა, რომლებსაც არ

(დასასრული მე-3 გვ.).

პროექტი

რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის ხელშეკრულება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით მყოფ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სამართლებრივი სტატუსის შესახებ

(დასასრული).

ითვალისწინებს ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები, რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის შრომითი, შრომის დაცვისა და სოციალური დაზღვევის კანონმდებლობით.

საქართველოს ხელისუფალნი ხელს უწყობენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სარდლობას, მათი თხოვნით, იმ საკითხთა მოგვარებაში, რომლებიც შეეხება დაქირავებულთა შრომის პირობებს [illegible] სამხედრო ფორმირებათა შემადგენლობაში შემავალი პირებისათვის, მათი ოჯახის წევრებისათვის უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეების თანაბარ უფლებებს უმაღლეს, საშუალო, საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში განათლების მისაღებად, სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებებში დასაწესებლად და მისაღებად, სამედიცინო მომსახურებაში. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების კომპაქტური ცხოვრების ადგილებში საქართველოს რესპუბლიკა იძლევა [illegible] ... გილებს გარეთ არის განლაგებული.

მუხლი 29

საქართველოს რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციას [illegible] ... ლიკა. ამ დავის მოსაგვარებლად გამოიყენება სპეციალური შეთანხმების დებულებანი.

მუხლი 30

სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის და მათი რიცხვიდან პენსიონერების სოციალური მომსახურების საკითხები, აგრეთვე საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებასთან, განისაზღვრება ცალკე შეთანხმებით.

მუხლი 31

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა დროებითი ყოფნისა და გაყვანის საკითხების მოსაწესრიგებლად [illegible]

მუხლი 32

ამ ხელშეკრულების განმარტებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრის მიზნით იქმნება შერეული კომისია, რომლის შემადგენლობაშიც თითოეული ხელშემკვრელი მხარე ნიშნავს თავის წარმომადგენლებს.

შერეულ კომისიასთან, სამხედრო ქონების გაყოფისა და მისი ერთობლივი გამოყენების მიზნით, იქმნება სპეციალური ქვეკომისია, რომელიც ამზადებს ხელშემკვრელ მხარეთა მთავრობების წინადადებებს.

შერეული კომისია იმოქმედებს თავის მიერვე შემუშავებული წესების საფუძველზე.

შერეული კომისიის [illegible]

მუხლი 33

ხელშემკვრელი მხარეები თანხმობა არიან უმოკლეს ვადაში შეიმუშაონ და ხელი მოაწერონ შეთანხმებათა კომპლექსს, რომლებიც მოაწესრიგებენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა დროებით ყოფნასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 34

ეს ხელშეკრულება სარატიფიკაციოა და ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, [illegible] ... ვიდოს ხელშეკრულების მოქმედება.

დადებულია ქალაქ თბილისში 1993 წლის „......“. ორ ეგზემპლარად, რუსულ და ქართულ ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

რუსეთის ფედერაციის სახელით | საქართველოს რესპუბლიკის სახელით

საომარი დროის კანონებით

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი, ხელმძღვანელობენ რა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებით და საქართველოს რესპუბლიკის „სამხედრო წესების“ კანონით, ადგენენ:

1. დროებით, საომარი მოქმედების პერიოდისათვის, შეჩერდეს პოლიტიკურ პარტიათა იმ რეგიონალური სტრუქტურული ქვედანაყოფების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივ მოძრაობათა და მიმდინარეობათა, მოქალაქეთა გაერთიანებების, მასობრივ ინფორმაციათა დამოუკიდებელი საშუალებების საქმიანობა, რომლებიც თავიანთი მოქმედებით უშლიან ხელს ვითარების სტაბილიზაციას.

2. დროებით, საომარი მოქმედების პერიოდისათვის აიკრძალოს როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების მადესტაბილიზებელი ფაქტორი — მიტინგები, კრებები, ქუჩის მსვლელობები, დემონსტრაციები, გაფიცვები და სხვა მასობრივი ღონისძიებანი.

დადგინდეს, რომ იმ თვითნებურ ღონისძიებათა მოწყობის ყოველი ცდა, რომლებიც მიზნად ისახავენ ვითარების დესტაბილიზაციას, შეფასებული იქნება როგორც განზრახ მოქმედება სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ, შესაბამისად განხორციელებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის კანონით ასეთი შემთხვევებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებანი.

3. სამართალდამცველმა ორგანოებმა, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა: მოქმედი სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად გადასცენ პასუხისგებაში ის პირები, რომლებიც ავრცელებენ პროვოკაციულ ჭორებს, ცილისწამებასა და შეურაცხყოფას, ან აღვივებენ ეროვნულ შუღლს, აქტიურად უშლიან ხელს მოქალაქეებისა და თანამდებობის პირებს მათი კანონიერი უფლება-მოვალეობების განხორციელებაში, აგრეთვე — კანონიერი განკარგულებების აუხრელი შეუსრულებლობისათვის.

მკაცრი კონტროლი დაუწესდეს სამრავლებელი ტექნიკის, აგრეთვე რადიო და ტელესამაუწყებლო აპარატურის, აუდიო და ვიდეოჩამწერი ტექნიკის გამოყენებას.

4. აფხაზეთის იუსტიციის სამინისტრომ დროებით, საომარი მოქმედების პერიოდისათვის, შეაჩეროს პოლიტიკური პარტიების, პარტიათა რეგიონული ქვედანაყოფების, საზოგადოებრივი მოძრაობისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რეგისტრაციაში გატარება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **თ. ნადარეიშვილი.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამდივნოს უფროსი **ჯ. ბეთაშვილი.**

რუსეთის პარლამენტის პრეზიდიუმმა გამოთქვა წინადადება იურიდიული ძალის უქონლად ცნონ ჩრდილოეთ ოსეთის სს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სამხრეთ ოსეთის ცნობის შესახებ

მოსკოვი, 22 მარტი. (იტარ-ტასის საპარლამენტო კორ. [illegible]). დღეს რუსეთის პარლამენტის პრეზიდიუმმა განიხილა ჩრდილოეთ ოსეთის სს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმდინარე წლის 6 მარტის დადგენილება „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ცნობის შესახებ“.

როგორც თავის გამოსვლაში აღნიშნა პარლამენტის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარემ ნიკოლოზ მედვედევმა, სახელმწიფოს ან მისი ნაწილების დამოუკიდებელ წარმონაქმნებად ცნობის საკითხი რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში ფუძემდებელ საკითხებს განეკუთვნება და უშუალოდ არის დაკავშირებული მისი საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტის სტატუსთან. კომისიის თავმჯდომარემ დამსწრეთ შეახსენა, რომ რუსეთის ფედერაციის სუბიექტები, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს ჩრდილოეთ ოსეთი, რუსეთის კონსტიტუციისა და ფედერაციული ხელშეკრულების შესაბამისად არ არიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტები.

სრულიად საფუძვლიანად შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა იმის თაობაზე, რომ ამ დადგენილების მიღებით ჩრდილოეთ ოსეთის სს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებებს და ამით დაარღვია რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მთელი რიგი მუხლები, აღნიშნა ნიკოლოზ მედვედევმა. „ამის შედეგი, — დასძინა მან, — შეიძლება გახდეს კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნა საერთაშორისო სამართლის ორ თანასწორუფლებიან სუბიექტს — საქართველოსა და რუსეთს შორის“. ასეთ ვითარებაში, თქვა ნიკოლოზ მედვედევმა, რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს შეეძლო განეხილა ეს საკითხი და იურიდიული ძალის უქონლად ეცნო ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის დადგენილება.

გადაწყდა დადგენილების შესაბამისი პროექტი განიხილონ რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს მიმდინარე სესიის დროს.

რუს სამხედრო მოსამსახურეებს სერგი გოლიშევს და ვლადიმერ პიატშინს არ სურთ სროლა

რუსი სამხედრო მოსამსახურეები მოემზადებიან გადიან ამიერკავკასიაში [illegible] ... ბის „ლოს-ანჯელეს ტაიმსის“, „მოსკოვსკიე ნოვოსტის“, სატელევიზიო პროგრამა „ვრემიას“ ... „ფე“, წელიწადნახევარია ვემსახურობ. ჩვენთან დაზვერვაში ძველ... [illegible]

... ხანმოკლე იყო. ახალგაზრდებს შეპირდნენ, რომ გადაუხდიდნენ 16 ათას მანეთს, თუ მონაწილეობას მიიღებდნენ აფხაზეთის საბრძოლო მოქმედებებში, ესროდნენ ბავშვებს და ქალებს. მათ არავის მოკვლა არ სურდათ და მაქცევა გადაწყვიტეს.

...ჟურნალისტები მშიდროდ შემორტყნენ გარს ახალგაზრდა ჯარისკაცებს. აქ იყვნენ საზღვარგარეთის ქვეყნების სააგენტოების „ასოშიეიტედ პრესის“, „რეიტერის“, „ეფეს“, ევროპის პრესსააგენტოს, იტარ-ტასის, გაზეთების, შემდეგ დაგრილები ბრუნდებოდნენ და სანახევ იჩენენ. გვესაუბრა მათთან. არც იმათ უნდათ ბრძოლა, მხოლოდ ფულისათვის თანხმდებიან. ჩვენ არაფერი გვჭირდება. ქართველები ძმებივით შეგვხვდნენ. მათთან არაფერი გვაქვს გასაყოფი.

ჟურნალისტებმა მათ უამრავი კითხვა დაუსვეს. აი, ზოგი მათგანი.

— იქნებ არმიაში გამოგზავნული „ძველბიჭობის“ კვალი გამოიქცით?

— თავად ვარ უკვე „ძველი ბი...

— რატომ არ მიმართეთ რუსეთის სალჩოს?

— ჯერ მოგმართავთ თქვენ, ჟურნალისტებს. დაე პრესამ დაგვიცვას.

ერთ-ერთი კორესპონდენტის კითხვას, რას ფიქრობენ ისინი რუსი ჯარისკაცების როლზე, პიატუგინმა უპასუხა:

— რუსი ჯარისკაცები უნდა ასრულებდნენ სტაბილურობის ფუნქციას და არ ერეოდნენ სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

გალინა ჩიქოვანი.

საქართველოში გახშირდა ტერორი და აგრესია. ხელშეუხებ სიწმინდეთა გადათელვას, ბუნებრივია, აქვ საქმენი მოჰყვა. გათიშულ, ერთმანეთის მიმართ სამკვდრო-სასიცოცხლოდ განწყობილ საზოგადოებაში ადვილად იხარა ბოროტების თესლმა.

ტერორიზმს ბოლო უნდა მოეღოს!

კრიმინოგენური ვითარების ახალი ფონზე იმდენს ხშირად ვამოყართა ჩიქოვანის ქუჩაზე დატრიალებული ტრაგედიის —ამაზრზენი ტერორისტული აქტის მონაწილეთა მხილება, უვარგულში მოქმედი ტერორისტულ ჯგუფის გამოვლენა და გაუვნებელყოფა, ჩემს მიმართ განხორციელებული თავდასხმის მონაწილე დამნაშავეთა დაკავება და პასუხისგებაში მიცემა. გაჩნდა იმედი, რომ საქართველოში ალაგმებოდა ტერორისტულ ქმედებათა მიჩქმალვის მავნე პრაქტიკა, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც გამსახურდიას ხელისუფლების მოსვლის წინა, განსაკუთრებით მისი ძალაუფლების ზეობის პერიოდში. გავიხსენოთ მკვლელობა მაჩაბლის ქუჩაზე აფეთქებები ბ-ნ თ. პაატაშვილისა და „ ქარტია-91“-ის სხვა წევრთა საცხოვრებელ ადგილებში, ბ-ნ ვ. ადეიშის ბინაზე თავდასხმა, საქართველოს მწერალთა კავშირის შენობის დაცხრილვა და სხვა მრავალი გაუხსნელი ტერორისტული აქტი.

სამწუხაროდ, დღესაც შეიმჩნევა სიძნელეები ტერორისტთა დროულად გამოაშკარავებისა და დაკავების საქმეში. აი ერთ კვირაზე მეტი გავიდა ქ. თბილისის პროკურორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ბ-ნ მ. ჭურაძის მკვლელობიდან, მაგრამ მკვლელი ჯერაც დაუდგენელია.

ქ. თბილისის პროკურორის მკვლელობას დიდხანს დარჩენილი იქნა აგრეთვე ჯაზეთ „ივერია-ექსპრესის“ რედაქტორის ი. გოცირიძის ბინა. ეს ფაქტიც ჯერაც ბურუსით არის მოცული.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა იქნეს უარყოფილი წინა ხელისუფლების პრაქტიკა, რომლის ტერორისტული აქტების მოხსენების და შემსრულებლების დაუსჯელი რჩებოდნენ, ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად ჩვენმა საზოგადოებრიობამაც უნდა თქვას.

მე როგორც ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათა შორის ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე და რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს წევრი დაჟინებით მოვითხოვ უკანასკნელ ხანს მომხდარ დანაშაულებათა დროულად გახსნას, ამასთან, ვიდოვ უფლებას ავრილის შუა რიცხვებში მოვისმინო შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების, კომპეტენტური სამსახურების მოხსენებები ამ დანაშაულების გახსნისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე — საქართველოს რესპუბლიკის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს წევრი

სანდრო კავსაძე.

ეს ომი ემუქრება დემოკრატიას

მიმართვა მსოფლიო საზოგადოებრიობას

საქართველოს ამ ტრაგიკულ დღეებში პაციფისტური საქველმოქმედო საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“ რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ეროვნების ქალებს, მიმართავთ მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს!

ჩვენი მოწოდება იმ საფრთხითაა გამოწვეული, რომელიც რეაქციული პროკომუნისტური ძალებისაგან მომდინარეობს. ეს ძალები ლამობენ საბჭოთა იმპერიის რეანიმაციას, რომელსაც რეიგანმა სამართლიანად უწოდა „ბოროტების იმპერია“. იგი მთელს მსოფლიოს „ცივი ომის“ დაბრუნებითა და ბირთვული კატასტროფის მუდმივი საფრთხით ემუქრება. რუსეთში გამოცოცხლებული ამ ძალების პირველი დარტყმა დღეს საქართველომაც იგემა! შემდეგი ვინ არის?

პროკომუნისტურ პოლიტიკოსთა გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა ხელი შეუწყვეს აფხაზეთში აგრესიული სეპარატიზმის გაღვივებას, რომელმაც ომამდე მიგვიყვანა. მათ არაფრად უღირთ საქართველოს სუვერენიტეტის შელახვა და რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

მიუხედავად ინფორმაციული ომისა, რომლის შედეგად მსოფლიოს საზოგადოებრიობას რეგულარულად და მიზანსწრაფულად [illegible] ... ქართველებისა, არამედ აგრეთვე რუსებისა, სომხებისა, ბერძნებისა, ესტონელებისა და მრავალი სხვა ეროვნების ადამიანებისა, რომლებიც გვერდიგვერდ ცხოვრობენ ამ მიწა-წყალზე?

აფხაზები და ქართველები ოდითგანვე მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრობდნენ. ამის საუკეთესო დადასტურებაა შერეულ ქორწინებათა დიდი პროცენტი აფხაზეთში. მაგრამ ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ, განსაკუთრებით კი კომუნისტური რეჟიმის დროს, სტალინის ვერაგული პოლიტიკის წყალობით, აფხაზთა და ქართველთა ტრადიციულ მეგობრობას დიდი ზიანი მიადგა, რაც მარჯვედ იქნა გამოყენებული ჩვენს ხალხებს შორის კონფლიქტის გასაჩაღებლად. სამწუხაროდ, იგი გარდაუვალი აღმოჩნდა, მიუხედავად იდ. შევარდნაძის მთავრობის ძალისხმევისა ჯერ კიდევ 70-იან წლებში, რომელმაც გამოასწორა წინამორბედ მმართველთა შეცდომები და უზრუნველყო აფხაზი ხალხის სრული პოლიტიკური და კულტურული ავტონომია (აფხაზეთის უნივერსიტეტის, ტელევიზიის დაარსება, თეატრი, სკოლები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა.).

ეს კონფლიქტი ჩვენთვის დიდი ტრაგედიაა. სხვა რა შეიძლება [illegible] ... მელიც აღმოჩნდა ზეგასაიდუმლოებული უსამინლისი სამხედრო ობიექტი, რომლის მეშვეობითაც რუსეთს შეეძლო დაზიანებული დედამიწის სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილი და მიზანსწრაფულად გამოიწვიოს სტიქიური უბედურებანი მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში.

ამ ლაბორატორიის საქმიანობა უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. და თუ ასეა, ღირს კი ამ უაზრო ომის გაგრძელება, — ომისა, ამდენი სიცოცხლე რომ შეიწირა — არა მარტო აფხაზებისა და ... ომი. ჩვენმა საზოგადოებამ მიმართა რუსეთის პრეზიდენტს ბ-ნ ბორის ელცინს და მოუწოდა მას რეაქციის წინააღმდეგ რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული ძალების გაერთიანებისაკენ. ამავე მოწოდებით მივმართავთ მსოფლიოს ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანებს.

დიდი იმედებით პაციფისტური საქველმოქმედო საზოგადოება **„საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“.**

19 მარტი, 1993, ქ. თბილისი.

რუსეთის დამოუკიდებელმა სააგენტო „ნეგამ“ გაავრცელა ცნობა იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის (გუდაუთის) მთავრობამ მოუწოდა უუბანის ტერიტორიაზე [illegible]

უჭირთ, ძალიან უჭირთ

[illegible] ... დგომის სურვილი განელებიათ. „აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე“ ნოდარ ხიჟბა: ბევრ ტყუილს იტყვის, ბევრსაც დაპირდება.

„მისი სიტყვებით, — წერს „ნეგა“, — მდგომარეობა რაიონებში [illegible] ... ლმე ნეტარხსენებული სოლომონ მორბელაძე, ეს პროვინციელი მაჭანკალი და ფილოსოფოსი...

ადრე საზოგადოებრივ აზრს ატყუებდნენ, ახლა — იმასაც და, განსაკუთრებით, — თანამემამულეებს, აფხაზებს, და კიდევ — ... ომის ინერცია სერიოზულად დამუხრუჭდა „აფხაზთა მხარეს“, და ძალიან გაუჭირდათ საომარ მოქმედებათა ესკალაცია სეპარატისტებს, ძალიან.

არმაზ სანებლიძე.



რუსეთელო პილოტო, არა კაც ჰკლა!

19 მარტს დილაადრიან სუვერენული საქართველოს საჰაერო სივრცეში ჩამოაგდეს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი „სუ-27“. ამ მოვლენას განმარტავს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის სამხედრო მრჩეველი პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩიქოვანი.

სურათებზე: მაიორ ვაცლავ შიპკოს პირადობის მოწმობა და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ნაპოვნია რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავის დაცემის ადგილზე; საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მრჩეველი პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩიქოვანი განმარტავს საქართველოს ცაში 19 მარტს მომხდარ მოვლენებს.

ვანო შამანაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რეაქციული ძალების ასალაგმავად

უკრაინის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ლ. მ. კრავჩუკს

პატივცემულო ლეონიდ მაკარის ძევ!

მოგმართავთ თქვენ, სახელმწიფო მოღვაწეს, რომელმაც საერთაშორისო სახელი და ავტორიტეტი მოიპოვეთ უკრაინის ნამდვილი დამოუკიდებლობის მიღწევისა და განმტკიცებისათვის, ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებს შორის [illegible] ... სათვის დაუცხრომელი საქმიანობით.

ყველასთვის ცნობილია უკრაინელებისა და ქართველების ტრადიციული ძმობა, ორი ხალხის კულტურული ურთიერთობა და დამოუკიდებლობისაკენ საერთო მისწრაფება. ჩვენი ხალხების კავშირ-ურთიერთობის მთელი ისტორია ადასტურებს ღრმა ურთიერთ... ლო-უკრაინის მეგობრობის საზოგადოებრიობამ გაერთიანებამ თავის მიზნად დასახა, განავითაროს და სრულყოს ეს კავშირ-ურთიერთობა ახალ პირობებში. მაგრამ ძმათამკვლელმა ომმა საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში, რომელიც გააჩაღეს ერთმა მუჭა ადგილობრივმა სეპარატისტებმა და მისმა მხარდამჭერმა რუსეთის რეაქციულმა ძალებმა [illegible] ... ნელთა სიცოცხლეს. ომის ესკალაცია, რომელსაც ხელს უწყობენ რუსი გენერლები, საკმაო გამოცდილება რომ შეიძინეს ავღანეთის ბინძურ ომში და, რომლის კულმინაცია გახდა ამ დღეებში სოხუმის ალების ცდა, ცხოვრების აუტანელ პირობებს უქმნის მშვიდობიან მოქალაქეებს. რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები ... რი ზარალი მიადგა ასობით მათ ოჯახს, მსხვერპლს ვაზუსტებთ.

პატივცემულო ლეონიდ მაკარის ძევ, ვიმედოვნებთ, რომ გამოიყენებთ თქვენს დიდ ავტორიტეტს, დაეუყოვნებლივ მიიღებთ ზომებს რუსეთის იმ რეაქციული ძალების ასალაგმავად, რომლებიც უხეშად იხსენიებენ [illegible] ... აფხაზეთში.

საქართველო-უკრაინის მეგობრობის საზოგადოების სახელით, გამგეობის თავმჯდომარე **ანატოლ მოლჩანოვი.**

გვჭირდება თანადგომა ძლიერთა ამა ქვეყნისათა...

გიორგი ლალიაშვილი

ახლა, როცა საქართველოში ცხოვრების ყველა უბანზე სიდუხჭირე და გაჭირვებაა, როცა რესპუბლიკის თითქმის ყველა მოქალაქე შემწეობასა და თანადგომას ითხოვს, იოლი წარმოსადგენია, როგორ უჭირთ იმ ოჯახებს, სადაც ოთხი და მეტი შვილის აღზრდა უხდებათ. სადღეისოდ ეს მრავალი სოციალურად დაუცველთა კატეგორიას განეკუთვნება, არადა, ასეთი ოჯახები საქართველოში საკმაოდ მრავალრიცხოვანია — 50 ათასზე მეტი.

მეორე წელიწადია, რაც არსებობს საქართველოს რესპუბლიკის მრავალშვილიან დედათა და ბავშვთა დაცვის დამოუკიდებელი ასოციაცია. ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი მოღვაწეობა ამ ხნის განმავლობაში, ბევრი საჭირო და სახარბიელო საქმე გააკეთა. რაც მთავარია: მთელი მისი ქმნა-მოღვაწეობა ხათნოებასა და გულმოწყალებასთან ერთად თავგანწირვაცაა, სხვაგვარად ვერ შეასრულებენ მისი თანამშრომლები დაკისრებულ მისიას: საერთო შეჭირვების ჟამს ვერ დაეხმარებიან მრავალშვილიან დედებს.

ასოციაციის ანაგის ქუჩაზე ერთი მომცრო ოთახი უჭირავს. დილიდან საღამომდე არ ილევა მომსვლელი და მთხოვნელი. ასოციაციის პრეზიდენტი მარიამ ძაძამიძე თვითონ მრავალშვილიანი დედაა და თუ არა მან, სხვამ ვინ უწყის ასეთი ოჯახების მდგომარეობა. ისიც შეძლებისდაგვარად ცდასა და მონდომებას არ აკლებს, რომ ყველა მოსულს რეალური დახმარება აღმოუჩინოს — გაიკითხოს, გაამხნევოს, დააკვალიანოს.

მარტო წლეულს, იანვარ-თებერვალში ასოციაციამ მოაწყო საახალწლო ბაზრობა, 20.000-მდე კაცს შეღავათიან ფასებში შეაძენინეს კვების პროდუქტები, 300.000 მანეთის ნაძვის ხის ბილეთები არიგა ბავშვთა ფედერაციის, 400-მდე […] ამ გაჭირვებულ ოჯახს […] დაურიგდა სურსათი, ხელ[…] მართეს ლტოლვილებსა […] დაღუპულთა ოჯახებს, 5[…] ლი ბავშვის ხის საწოლ[…] ყიდლოდ მრავალშვილიან[…] ებს გადასცეს, 10 ახალ[…] მრავალშვილიანი ოჯა[…] ფასიან უმაღლეს სასწავ[…] ბში სწავლის ქირა გა[…] ეს, აფხაზეთში მებრძო[…] ვილთა კორპუსს შე[…] მილიონ 300 ათასი მანეთ[…] ლი ტანსაცმელი, 200.00[…] ეთის ტანსაცმელი მ[…] ლტოლვილებს აფხაზეთიდ[…] ნეთში მრავალშვილიან […] გაუგზავნეს სურსათ-სანოვაგე და სარეცხის საშუალება.

თითქოს პრობლემები არა აქვთ, მაგრამ:

— რაც ვარსებობთ, თითქმის ყოველდღე ვითხოვთ და არ დაადგა საშველი, რომ ქალაქის მერიას ჩვენი ასოციაციისათვის გამოეყო ერთი მაღაზია, — გვითხრა ქალბატონმა მარიამ ძაძამიძემ, — ძალზე გვიჭირს პროდუქტების გაცემა, სულ სამათხოვროდ გვაქვს საქმე, ხან ვინ გვათხოვებს სამაღლოდ მაღაზიას და ხან ვინ.

— არა გვაქვს ტრანსპორტი პროდუქტების შემოსატანად, არაერთხელ ჩავაყენეთ საქმის კურსში ქალაქის მერია, მაგრამ დღემდე ჩვენი სათხოვარი არავინ იღო ყურად. ახლა ახალი მერის კოტე გაბაშვილის დიდი იმედი გვაქვს. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, ამდენი ხანია, ვარსებობთ და ბატონ ედუარდ შევარდნაძის და მწვანეთა პარტიის ლიდერის ზურაბ ჟვანიას გარდა, არავის გახსენებია მრავალშვილიან ოჯახთა უმძიმესი მდგომარეობა. არადა, კარგად გვახსოვს, რომ ყველა დეპუტატის წინასაარჩევნო პროგრამაში ეს თემა ერთობ ხმამაღლა ჟღერდა, ახლა კი, დაავიწყდათ.

—და მაინც, ალბათ, არიან […]ბა რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი. ვსარგებლობ შემთხვევით, და მადლობას მოვახსენებ ჩვენი ასოციაციის დამფუძნებლებსა და სპონსორებს, ისინი არიან იური მელაძე, — ავსტრიული ფირმა „ABC" წარმომადგენელი, ნოდარ მოხულიშვილი — ფირმა „ხომლი-91"-ის პრეზიდენტი, მევლუდ გიგანი — ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის პრეზიდენტი. მადლობის ღირსნი არიან ჩვენგან თბილისის ცხიმკომბინატის, საკონდიტრო, მაკარონის ფაბრიკები, მაუდ-კამვოლის ქარხანა, რომელთა ხელმძღვანელებიც გულისხმიერებით ხვდებიან ხოლმე ჩვენს სათხოვარს...

— ცოცხლად გვჭირდება თანადგომა ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ერთობლივი ძალებით უფრო ბევრ კეთილ საქმეს გავაკეთებთ, — ამ სიტყვებით დაასრულა ქალბატონმა მარიამმა საუბარი.

P.S. რა არის იმაზე დიდი მადლი, ვიდრე ქველმოქმედება გაჭირვებული თანამოძმისადმი, თუკი მათთვის შეწევნას გადაწყვეტთ, გთავაზობთ ასოციაციის რეკვიზიტებს:

კომერციული ბანკი „რესპუბლიკა", საანგარიშსწორებო ცენტრი, ქ. თბილისი, საკორესპონდენტო ანგარიში №700161157, მფო 522469, საქართველოს რესპუბლიკის მრავალშვილიან დედათა და ბავშვთა დაცვის დამოუკიდებელი ასოციაცია: ანგარიში №606005.

ქველმოქმედება

ომის ვეტერანთა გულისწყრომა

ბაიმართა თბილისის ომის ვეტერანთა საქალაქო ორგანიზაციის […] ეს მხარი ამ მიმართვას და მოითხოვეს რუსეთის ჯარებისაგან, რო[…] ველოს საშინაო საქმეებში ჩარევა. მათ მოითხოვეს შეწყდეს ეს […]

[…]რთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპარლამენტის, მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტების, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული მიმართვის შესახებ. ქართველმა ვეტერანებმა ერთსულოვნად დაუჭირ[…] ბჭოთა კავშირის გმირები კირილე უკლება და შოთა შურღაია, ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკო შველიძე და სხვები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების საომარი მოქმედება არის საქართ[…] […]ნეს ჰამლეტ გეგეჩკორმა, შალვა კიკნაძემ, ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თამარ ლაშქარაშვილმა და სხვებმა.

კრებაზე მიიღეს მიმართვა რუსეთის ფედერაციის ომის ვეტერანებისადმი.

ტელეფონით სარგებლობა გაძვირდება?

დიახ, პირველი აპრილიდან საკუთარი ტელეფონით საუბარი ბევრად უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე აქამდე იყო. ეს საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა კავშირგაბმულობის სამინისტროს ელექტროკავშირის სამმართველოს უფროსის მოადგილემ სატელეფონო კავშირის დარგში ავთანდილ იაშვილმა.

— მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, — თქვა მან, — პირველი აპრილიდან ტელეფონის საავონენტო გადასახადი 120 მანეთი გახდება. სამაგიეროდ, გავითვალისწინეთ რა მოსახლეობის ახლანდელი ეკონომიკური მდგომარეობა, ტელეფონ-ავტომატებით სარგებლობა უფასო გავხადეთ, თუმცა ესეც დროებითი ღონისძიებაა. რაც შეეხება საავონენტო გადასახადების ზრდას, იგი ბევრი რამითაა განპირობებული, უპირველესად კი ფასების პერმანენტული ზრდით ენერგომატარებლებზე, საწვავ-საცხებ მასალაზე. ელექტროენერგიით მომსახურება, მაგალითად, 3 მანეთი და 60 კაპიკიდან 10 მანეთამდე გაიზარდა. ჩვენი სისტემა კი ამ ენერგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებელია. კატასტროფულად, 400-500-ჯერ გაიზარდა საკაბელო პროდუქციის ფასები, გაძვირდა აპარატურა-მოწყობილობაც. ამას დავუმატოთ ტრანსპორტისა და კომუნალური მომსახურებით სარგებლობის გაზრდილი ხარჯებიც. შესაბამისად მომსახურე პერსონალის ხელფასიც ხომ გასაზრდელია. საბოლოოდ, ფაქტობრივად ერთი ნომრის მომსახურება სახელმწიფოს 350 მანეთი უჯდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთავრობამ გაითვალისწინა მოსახლეობის მძიმე მატერიალური მდგომარეობა და მათთვის საავონენტო გადასახადი 120 მანეთი დააწესა, სხვა მეზობელ რესპუბლიკებთან შედარებით გაცილებით ნაკლები. ბაქოში, მაგალითად, 200 მანეთია. სამაგიეროდ, სატელეფონო გადასახადი მოსახლეობასთან შედარებით უფრო მეტად გაეზარდათ დაწესებულებებს.

რეპორტაჟი ომიდან

სოხუმი, გაზაფხულის პირველი თვე

მდინარე გუმისთაზე, საქართველოს მთავრობის ჯარებისა და აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირების ხაზზე — მიმდინარეობს პოზიციური ბრძოლები, რომლებმაც შეცვალეს სოხუმის გააფთრებული შტურმი, მტრის დიდი დანაკარგებით რომ მოიგერიეს საქართველოს მებრძოლებმა.

ეს სურათები გადაიღო საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს სპეციალურმა ფოტოკორესპონდენტმა გიორგი წერეთელმა საბრძოლო პოზიციებზე და ფრონტისპირა სოხუმში.

სოხუმის მისადგომებთან მებრძოლ მეომართა დასახმარებლად ჩამოდიან სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მოხალისეები ერთადერთი სურვილით — დაიცვან მშობლიური საქართველოს სუვერენიტეტი.



სოხუმი კი ცოცხლობს — ელექტროენერგიის, სათბობის უქონლობის, სასმელი წყლის მიწოდების შეფერხების მიუხედავად. და სიძნელეები ყველასთვის ერთნაირია: ქართველებისა და აფხაზების, რუსებისა და სომხების, ბერძნებისა და ებრაელების, მთელი მრავალეროვანი ქალაქისათვის.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

მასპინძელთა 6 „ოქრო"

თბილისში დასრულებულ ანზორ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ჭაბუკ ძიუდოისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე გათამაშებული 8 უმაღლესი ჯილდოდან 6 მასპინძელთა საკუთრება გახდა. ესენი არიან მამუკა მაზმიშვილი (46 კგ), ზვიად ბექანიშვილი (55 კგ), ნუკრი ვარდანაშვილი (65 კგ), გიორგი გუგავა (71 კგ), ლევან ციგრიაშვილი (78 კგ) და ივერი ჯიქურაული (მძიმე წონა).

სტუმართაგან თავი ისახელეს აზერბაიჯანელმა ბაბეკ გაჯიევმა (50 კგ) და ეგვიპტელმა ავად ჰაისამმა (60 კგ).

ყაველაშვილის ჰეთ-თრიკი

ფეხბურთელთა მეოთხე ეროვნული ჩემპიონატის მორიგმა ტურმა კიდევ ერთი დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა ქვეყნის საგუნდო ჩემპიონსა და მიმდინარე პირველობის ერთპიროვნულ ლიდერს — თბილისის „დინამოს", რომელმაც ავლაბრის სტადიონზე არავითარი შანსი არ დაუტოვა თანაქალაქელ „მრეტებს" — 5:0. 3 ბურთი მიხეილ ყაველაშვილმა გაიტანა.

ამავე ტურის სხვა მატჩების შედეგები: „ტორპედო"-„გურია" — 3:0, „დილა"-„კოლხეთი-1913" — 2:1, „სამგურალი"-„გორდა" — 1:0, „შევარდენი-1906"-„ალაზანი" — 3:1. გურჯაანელთა მთავარ მწვრთნელს, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვან მეკარეს ოთარ გაბელიას გულით ვულოცავთ მეორმოცე გაზაფხულს — დღეს მისი დაბადების დღეა.

ჩოგნი

ფრანგების წარმატება

ისტორიის საკუთრება გახდა მორაგბეთა პრესტიჟული ასპარეზობა — „ხ ერის თასის" 64-ე გათამაშება.

გთავაზობთ ბოლო ტურის შედეგებს: ირლანდია-ინგლისი — 17:3, საფრანგეთი-უელსი — 26:10.

სატურნირო ცხრილში ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: I — საფრანგეთი, II — შოტლანდია, III — ინგლისი, IV — ირლანდია და V — უელსი.

გრაფმა დაიბრუნა ლიდერობა

ამერიკის ქალაქ კი-ბისკეინში დამთავრებული დიდი საერთაშორისო ტურნირის შემდეგ (შეგახსენებთ, რომ იქ თბილისელი ლეილა მესხი ნახევარფინალში დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან ესპანელ არანტა სანჩესთან) ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა უძლიერესთა ათეულის ახალი ნუსხა, რომელიც ასე გამოიყურება: 1—შტეფი გრაფი (გერმანია), 2—მონიკა სელეში (იუგოსლავია), 3 — არანტა სანჩესი (ესპანეთი), 4 — მარტინა ნავრატილოვა (აშშ), 5 — მერი ჯო ფერნანდესი (აშშ), 6 — გაბრიელა საბატინი (არგენტინა), 7— იანა ნოვოტნა (ჩეხეთი), 8 — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი), 9— ამანდა კრატცმანი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და 10 — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ).

დაუვიწყარი გამარჯვება



რობერტ შავლაყაძის გამარჯვება რომის ოლიმპიურ თამაშებში ქართული სპორტის უბრწყინვალესი ფურცელია. მისი ბადალი […]

[…]

ჩანახატი

კაცი

სამანი აღარ უჩანს საქართველოში ღვთის რისხვას. ხან მიწისძვრად გვევლინება, ხან წყალდიდობად და ხანაც — ძმათამკვლელ ომად. გულღრძო და უჟმური გახდა ქართველი კაცი, გახარბდა და საკუთარ ნაჭუჭში ჩაიჭუპრა. არადა, სათნოება და გულმოწყალება თანდაყოლილი საუნჯე იყო თითქოს. დიახაც, საუნჯე, რადგან ვერავითარი მატერიალური სიმდიდრე ვერ მოჰგვრის სრულ ნეტარებას იმ ადამიანის სულს, რომლისთვისაც სათნოება უცხო ხილია!

ამ მრუმე ფონზე სწორედ რომ პატიოსანი თვალივით აკიაფდა ერთი რიგითი ქართველი — თერჯოლის ავტოსაწარმოო გაერთიანების მძღოლი ზურაბ აბულაძე.

[…] ტალინში ან ვილნიუსში გეგონება კაცს თავი, ისე უსრულებენ სათხოვარს.

ერთხელ, ხაშურში, ვიღაც ბოხჩიან, შავოსან დედაბერს გაუჩერა ავტობუსი. ისე უღონოდ იწევდა ხელს, შემეცოდაო. მისწორია გვერდით მსხდომი ბიჭები […]

[…] და ი თქვენი დირექტორიცო! — ჩაიჩიფჩიფა დედაბერმა და წაფრატუნდა.

დიახ, ამჯერადაც ზურაბს დავედარე იღბლად და, რა დასამალია, გაიხარა გულმა. არამარტო იმიტომ, რომ (ცოდვა გამხელილი სჯობს!) ჯიბეში არ მაყოფინებს […]

[…] ესეც რიკოთი. ერთად ვიმავლიოთ-მეთქი. დამთანხმდა. შუა პურისჭამაში სცადა ფულის გადახდა, მაგრამ ვერ გამომაპარა და ვუსაყვედურე. ხელები აღმართა — „ვინავათი" ვარ, სწორი ბრძანდებითო, და ფული ცხვირსახოცივით ჩაიჩუჩნა ჯიბეში.

...ეს რა გასახსენებელი იყო, მაგრამ ერთსაც ვიტყვი: სრულიად შემთხვევით, ერთხელ, კარგა ხნის უნახავი ახლო ნათესავი აღმოჩნდა ჩემ გვერდით, ინჟინერი, ყოვლად უზრუნველყოფილი კაცი. რასაკვირველია, მთელი გზა მასლაათში გავლიეთ. შევედით დიდუბეში, ბოლო გაჩერებაზე. ჩავდივართ. მაშინ ასმანეთობა იყო და ჩემმა ნათესავმაც გაუწოდა ფული. ზურაბმა გამოართვა და ანაკრეფ ფულებს ქვემოდან ამოდო. მე, ჩვეულებრივ, ხელი ჩამომართვა, რომ დაბრუნდებით, სეფარეთის ღვინო „დავპრობოთ," თავის სოფელზე გადამკრა. […]

[…]

გიგო ზარნაძე

ცხონება

ჯუმბერ ეჯუგბაია

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ვაჟკაცი ჯუმბერ თევდორეს ძე ეჯუგბაია, კინოსტუდია „მემატიანეს" აფხაზეთის საკორესპონდენტო პუნქტის დირექტორი და კინოოპერატორი. სულ რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა თბილისში თავისი პატარა ლტოლვილი შვილის, ცოტნეს მოსანახულებლად, თვითონ კი ისევ უმალ დაბრუნდა საბრძოლო პოსტზე. ერთ ხელში ავტომატით და მეორეში კინოკამერით იხდიდა თავის მამულიშვილურ ვალს.

აფხაზეთში თავსმოხვეულმა ომმა კიდევ ერთი თავდადებული ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საქართველოს კინოკონცერნი „ქართული ფილმი", კინოსტუდია „მემატიანე", კინოსტუდია „რაკურსი".

Aragvi

მობრძანდით, გელით...
საქმიანი წრეებისა და ყველა დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ!

ძვირფასო მეგობრებო!

თბილისელ მეწარმეთა საქალაქო კორპორაციის მხარდაჭერით სააქციონერო საზოგადოება „არაგვი-კორპორეიშენმა" და თბილისის საერთაშორისო სავაჭრო სახლმა „საქართველომ" დააფუძნეს სავაჭრო სახლი „საქართველო-ირანი".

სავაჭრო სახლი მზად არის ხელშეკრულებები გააფორმოს ქართველ პარტნიორებთან ირანის საქმიან წრეებში თქვენი ინტერესების წარმოსაჩენად.

თანამშრომლობის სპექტრი ფართოა: პროდუქციის ექსპორტ-იმპორტით დაწყებული ერთობლივ საწარმოთა ორგანიზაციითა და ბარტერული გაცვლით დამთავრებული.

აქვე გაუწყებთ, რომ უახლოეს დღეებში (9 აპრილიდან 14 აპრილამდე) დაგეგმილია ირანელ ბიზნესმენთა ვიზიტი თბილისში. მათი ჩამოსვლის მიზანია საერთაშორისო სავაჭრო სახლი „საქართველო-ირანი" საქმიანობის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა.

დამფუძნებლები სიამოვნებით მიიღებენ თქვენს საქმიან წინადადებებს. გელით ყოველდღიურად (15-დან 17-საათამდე). საერთაშორისო სავაჭრო სახლის შენობაში; მისამართი, თბილისი, რუსთაველის გამზირი 42, მე-3 სართული, საკონტაქტო ტელეფონი: 99-67-93.

თბილისელ მეწარმეთა საქალაქო კორპორაციის პრესსამსახური.

CH BANK VISA

კომერციული ბანკი „კაპიტალბანკი" 24 მარტიდან აწარმოებს საფინანსო ოპერაციებს შემდეგი კურსით:

1. რსფსრ-დან საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორება კოეფიციენტით 2,3-მდე.
2. საქართველოდან რსფსრ-ში უნაღდო ანგარიშსწორებას კოეფიციენტით 0,21.
3. ნაღდ მანეთში უნაღდო მანეთის გაცემა კოეფიციენტით 2,5.
4. უნაღდო მანეთში ნაღდი მანეთის გაცემა კოეფიციენტით 0,23.
5. ერთ ამერიკულ დოლარს შეიძენს უნაღდო ანგარიშსწორებით 2500 მანეთად.
6. ერთ ამერიკულ დოლარს გაყიდის უნაღდო ანგარიშსწორებით 3000 მანეთად.
7. ერთ ამერიკულ დოლარს შეიძენს ნაღდი ანგარიშსწორებით 730 მანეთად.
8. ერთ ამერიკულ დოლარს გაყიდის ნაღდი ანგარიშსწორებით 750 მანეთად.

„კაპიტალბანკი" აგრეთვე აწარმოებს კომპლექსურ ანგარიშსწორებას მოსკოვის საკორესპონდენტო და თბილისის ძირითადი ანგარიშებიდან „კაპიტალბანკის" განსხვავებული კურსებით.

ანგარიშსწორება წარმოებს მოთხოვნილებისა და წინადადების თანაფარდობისას და კურსი ყოველდღიურად იცვლება.

ბანკის საფინანსო ოპერაციების კურსი გამოქვეყნდება ყოველი კვირის ოთხშაბათს და პარასკევს.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 62, ტელეფონი: 22-22-27, 29-47-59.

ტელეფონი მოსკოვში: 924-94-82.

მოქალაქეებისა და საქმიანი წრეების საყურადღებოდ!

"თბილკომბანკი" "TBILCOMBANK"

საღეპოზიტო სერთიფიკატები ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ეფექტურად დაიცავს თქვენს დანაზოგს ინფლაციისაგან.



დარიცხული პროცენტები გაიცემა თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით სერტიფიკატების ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენის შემთხვევაში.

სერთიფიკატების მინიმალური ღირებულებაა 10 000 მანეთი.

"თბილკომბანკი" აწარმოებს გადმორიცხვებს რუსეთიდან და უკრაინიდან საქართველოში.

"თბილკომბანკი"-ს რეკვიზიტებია: ა/ნ N700161513 საქ. ეროვნული ბანკი, მფო 522867

მისამართი: თავისუფლების მოედანი ზ.ლადიანის ქ. N2 (მე-3 სართული). ტელ. 98-53-97; 98-47-70.

მთავარი რედაქტორი **გურამ გოგიაშვილი.**

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 98-92-28; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29. ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА